ხელშეკრულება № 28

19 სექტემბერი 2016 წელი

ხარაგაული

ერთის მხრივ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა (შემდგომში- შემსყიდველი) წარმომადგენელი მისი დირექტორის ვერა ოდიკაძის სახით და მეორე მხრივ „შპს მკითხველი "(შემდგომში-მიმწოდებელი) წარმომადგენელი მისი დირექტორის გიორგი ხელაძის სახით , შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1ხელშეკრულება-წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციითურთ

1.2 შემსყიდველი- ორგანიზაცია რომელიც აწარმოებს შესყიდვას

1.3 მიმწოდებელი-პირი რომელიც ახორციელებს საქონლის (წიგნები) მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში

1.4 ხელშეკრულების ღირებულება- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შესყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის

1.5 დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6 ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა,რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა,აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 ხელშეკრულების საგანია CPV22100000 (ნაბეჭდი წიგნები და ბროშურები)ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება:

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 89,95 (ოთხმოცდაცხრა და ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს და მოიცავს მომსახურეობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით

მუხლი 4. მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშსწორება

4.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშფაქტურის გამოწერი შემდეგ,შესყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა ან ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი.

4.2 მიღება ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებამოსილება

5.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით

მუხლი 6 .პირგასამტეხლო

6.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1% ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1% ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1% ოდენობით

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება

6.3 ხელშეკრულები ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა მისთვის ინტერესი

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით

7.2 თუ ერთერთი მხარე უორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას,იგი ვალდებულია დაუყოვნებლის, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ,წინააღმდეგ შემთხვევაში არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელსეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დანამატის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი გზით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების,მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსიდველისათვის

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

8.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას

გ)თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) თუ ცნობილი გახდა,რომ მიწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყალბია

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთვეევებში

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით,შეთანხმების გადაუწყვეტლობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მიღების დღეს

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავება ევალება შემსყიდველს

მუხლი 12.ხელსეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად,ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან,ორი-შემსყიდველთან, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი,მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე.განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას

მუხლი13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 14.სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე

14.2 მესამე პირთან მხარეები მოქმედებენ ეაციანური სახელით,თანხებით და რისკით

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ს/კ 243571112	
GE91LB0121135033723000	ს/კ 429650362
	ა/ნ GE88LB0113114503520000
ხელმოწერა: / ... ოდიკაძე /	ხელმოწერა: / ... ხელაძე /

მიღება-ჩაბარების აქტი

ხარაგაული 19 სექტემბერი 2016წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს „მკითხველი" ს/ნ 429650362, მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის #4 წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ხელაძის მიერ, შემდგომში „მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ, სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა ს/კ 243571112 მის : ხარაგაულის რაიონი წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ვერა ოდიკაძის მიერ შემდგომში „მიმღები" ვადგენთ აქტს მასზედ, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა წიგნები 89.95(ოთხმოცდაცხრა და ოთხმოცდაათხუთმეტი)ლარის ოდენობით.

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	დროის ინსტიტუტი აჰმედ ჰამდი ტანტინარი კლასიკოსები (ელფი)	ცალი	1	7.99 ლარი	7.99 ლარი
2	ორი რომანი დელიბესი კლასიკოსები (ელფი)	ცალი	1	7.99 ლარი	7.99 ლარი
3	ეფი ბრისტი ფონტანე კლასიკოსები (ელფი)	ცალი	1	7.99 ლარი	7.99 ლარი
4	მს/კლ ქალთა ბედნიერება ემილ ზოლა (ელფი)	ცალი	1	7.99 ლარი	7.99 ლარი
5	მოწყენილობა ალბერტო მორავია კლასიკოსები (ელფი)	ცალი	1	7.99 ლარი	7.99 ლარი
6	საქართველოს ფიზიკური რუკა	ცალი	1	15.00 ლარი	15.00 ლარი
7	მარიამობა ხელნაკეთი წიგნი	ცალი	1	35.00 ლარი	35.00 ლარი
	სულ:		7		89.95

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით

„მიმღები" „მიმწოდებელი"

MARELISI STATION MUNICIPALITY

429650362 MKITKHVELI LTD